ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N07

29 აპრილი 2022 წელი

ქ. ბაღდათი

10:00 საათი

2022 წლის 29 აპრილს გაიმართა ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა.

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს წევრები: ნოდარ გიორგიძე, გურამი კიკნაველიძე, სიმონ ჭოლოკავა, მურად ბურჯანაძე, მაია კბილაშვილი, გვანცა გრძელიძე, თორნიკე გაჩეჩილაძე, თეა გოგნაძე, ბიძინა ჯაბიძე, გიორგი კოტორეიშვილი, კახა კოხოძე, ალექსანდრე ფახურიძე, ნინო ფურცელაძე, იოსებ კვირიკაშვილი, ირინა ტყეშელაშვილი, გურამ ჩხეიძე, ზვიად გუმბერიძე, დიომიდე კიკნაველიძე, ნინო კვირიკაძე, ჯუმბერ რობაქიძე, ვლადიმერ წიქორიძე, შალვა მშვილდაძე, ირაკლი გოგსაძე, შადიმან გორგოძე, მაკა მესხი.

სულ: 21 საკრებულოს წევრი.

სხდომას არ ესწრებოდა: ზაზა ზივზივაძე, გია სახამბერიძე.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

მუნიციპალიტეტის მერიიდან:

კახა მსხვილიძე - მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი.

უჩა გელხვიიძე-მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

ქეთევან კარკაძე - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

ეკა მშვილდაძე - მუნიციპალიტეტის მერიის საორგანიზაციო და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი.

გია ხორავა - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის ტურიზმის განყოფილების უფროსი.

ვალერი კვინიხიძე - .არასამეწარმეო (არაკომერციული) იურდიული პირი- „ბაღდათის ხელოვნებისა და მუსიკალური ფონდის დირექტორი.

აზა ნერგაძე - მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველი საკრებულოსთან ურთიერთობის საკითხებში;

მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელები მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში.

საკრებულოს აპარატი:

ნოდარ ებანოიძე - საკრებულოს აპარატის უფროსი.

ნათია ცისკაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

ირინე აბაიშვილი - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურდიულ და გენდერული თანასწორობის საკითხებში.

თამთა ჯიხვაძე- საქართველოს პარლამენტის წერის ბეჟან წაქაძის ბიუროს თანამშრომელი.

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 25 საკრებულოს წევრმა.

სხდომა გახსნა და თავმჯდომარეობდა ნოდარ გიორგიძე - საკრებულოს თავმჯდომარე, რომელმაც საკრებულოს სხდომას წარუდგინა დღის წესრიგის საკითხები.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1.არასამეწარმეო (არაკომერციული) იურდიული პირი- „ბაღდათის ხელოვნებისა და მუსიკალური ფონდის ანგარიში 2021 წელში გაწეული მუშაობისა და 2022 წელში დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.

მომხს. ვალერი კვინიხიძე - .არასამეწარმეო (არაკომერციული) იურდიული პირი- „ბაღდათის ხელოვნებისა და მუსიკალური ფონდის დირექტორი.

2.მუნიციპალიტეტის მერიის საორგანიზაციო და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების ინფორმაცია: მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მიწის სპორადული და სისტემური რეგისტრაციის მდგომარეობის შესახებ.

მომხს. ეკა მშვილდაძე - .მუნიციპალიტეტის მერიის საორგანიზაციო და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი

3.„ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 23 ივლისის № 112 დადგენილებით დამტკიცებულ „ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში“ ცვლილების შეტანის შესახებ.

მოხს. ნოდარ ებანოიძე - მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი.

გვანცა გრძელიძე - მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

4.ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 მაისის N 35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მოხს. ნოდარ ებანოიძე - მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი.

გვანცა გრძელიძე - მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

5. მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული რეგიონული განვითარების ასოციაციების საქმიანობის ეფექტიანობის სახელმწიფო აუდიტის ანგარიში.

მომხს. გია ხორავა - მუნიციპალიტეტის მერიის ტურიზმის განვითარების განყოფილების უფროსი.

6. მუნიციპალიტეტებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების საზედამხედველო საქმიანობის შესაბამისობის სახელმწიფო აუდიტის ანგარიში.

მომხს. კახა მსხვილიძე - მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი.

7. „ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერისთვის ა(ა)იპ „განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრის“ მიერ, იაპონიის საელჩოს ადამიანის უსაფრთხოების საგრანტო პროგრამის ფარგლებში წარდგენილი „ბაღდათის მუნიციპალიტეტში ინკლუზიური ცენტრის შექმნის“ პროექტის მხარდაჭერის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 30 დეკემბრის N42 85 (გ-67.67213641) განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს. ქეთევან კარკაძე - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

კენჭი უყარეს დღის წესრიგს:

დღის წესრიგი მიღებული იქნა.

მომხრე - 25 წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 25 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს 1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურდიული პირი- „ბაღდათის ხელოვნებისა და მუსიკალური ფონდის ანგარიში 2021 წელში გაწეული მუშაობისა და 2022 წელში დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.

ფონდის მიერ გასულ 2021 წელში გაწეული მუშობის შესახებ ანგარიში სხდომაზე წარმოადგინა: **ვალერი კვინიხიძემ - .არასამეწარმეო (არაკომერციული) იურდიული პირი- „ბაღდათის ხელოვნებისა და მუსიკალური ფონდის დირექტორი.**

აზრი გამოთქვეს: მაია კბილაშვილმა, ვლადიმერ წიქორიძემ, მაკა მესხმა, ირინა ტყეშელაშვილმა, ნოდარი გიორგიძემ. ვ. წიქორიძე და მ. მესხი დაინტერესდნენ ა.ა.ი.პ-ის საშტატო ნუსხით და სახელფასო სარგოებით, რაზედაც უპასუხა ვ. კვინიხიძემ.

საკრებულოს კომისიაზე ანგარიშის განხილვის შედეგების შესახებ სხდომას მოახსენა: ირინა ტყეშელაშვილმა-საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ.

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N20 განკარგულება:გ-67.67221192 თარიღი:29/04/2022 (განკარგულება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:
მომხრე- 18 წინააღმდეგი- 0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 18 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 2. მუნიციპალიტეტის მერიის საორგანიზაციო და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების ინფორმაცია: მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მიწის სპორადული და სისტემური რეგისტრაციის მდგომარეობის შესახებ.

ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მიწის ნაკვეთების რეგისტრაციის დაწყების შესახებ სხდომას წარუდგინა: **ეკა მშვილდაძემ - მუნიციპალიტეტის მერიის საორგანიზაციო და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი.**

აზრი გამოთქვეს: გია სახამბერიძემ, ზვიად გუმბერიძემ, ვლადიმერ წიქორიძემ, შადიმან გორგოძემ, ბიძინა ჯაბიძემ, ნოდარ გიორგიძემ.

საკრებულოს კომისიაზე საკითხის განხილვის შესახებ ისაუბრა: **თორნიკე გაჩეჩილაძემ - მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.**

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მიწის სპორადული და სისტემური რეგისტრაციის მდგომარეობის შესახებ, მუნიციპალიტეტის მერიის საორგანიზაციო და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების ინფორმაცია მიღებული იქნას ცნობად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 3. . „ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 23 ივლისის № 112 დადგენილებით დამტკიცებულ „ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში“ ცვლილების შეტანის შესახებ.

დადგენილების პროექტი საკრებულოს სხდომას გააცნო: **ნოდარ ებანოიძემ - მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი.**

აზრი გამოთქვა: გვანცა გრძელიძემ, ნოდარ გიორგიძემ.

საკრებულოს იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიაზე საკითხის განხილვის თაობაზე დასკვნა საკრებულოს წევრებს გააცნო: გვანცა გრძელიძემ-კომისიის თავმჯდომარემ

საკრებულოს სხდომა ადგენს:
დამტკიცდეს საკრებულოს დადგენილება N8 დადგენილება:დ-67.67221191 თარიღი:29/04/2022 (დადგენილება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:
მომხრე- 23 წინააღმდეგი- 0
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 20 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 4. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ" ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 მაისის N 35 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
მოქმედ დადგენილებაში შესატანი ცვლილების პროექტი საკრებულოს სხდომას წარუდგინა: ნოდარ ებანოიძემ - მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი.

საკრებულოს შესაბამისი კომისიის დასკვნა საკრებულოს სხდომას გააცნო: გვანცა გრძელიძემ-კომისიის თავმჯდომარემ
საკრებულოს სხდომა ადგენს:
დამტკიცდეს საკრებულოს დადგენილება N9 დადგენილება:დ-67.67221192 თარიღი:29/04/2022 (დადგენილება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:
მომხრე- 23 წინააღმდეგი- 0
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 20 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 5. მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული რეგიონული განვითარების ასოციაციების საქმიანობის ეფექტიანობის სახელმწიფო აუდიტის ანგარიში.

სახელმწიფო აუდიტის ანგარიშის შესახებ ისაუბრა: გია ხორავამ - მუნიციპალიტეტის მერიის ტურიზმის განვითარების განყოფილების უფროსი.

აზრი გამოთქვეს: გვანცა გრძელიძემ, იოსებ კვირიკაშვილმა, მურად ბურჯანაძემ, გურამ კიკნაველიძემ, ირინა ტყეშელაშვილმა, ნინო კვირიკაძემ, ნოდარ გიორგიძემ.
საკრებულოს შესაბამისი კომისიაზე განხილვის თაობაზე ისაუბრა: თორნიკე გაჩეჩილაძემ-კომისიის თავმჯდომარემ.

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული რეგიონული განვითარების ასოციაციების საქმიანობის ეფექტიანობის სახელმწიფო აუდიტის ანგარიში, მიღებული იქნეს ცნობად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 6. მუნიციპალიტეტებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების საზედამხედველო საქმიანობის შესაბამისობის სახელმწიფო აუდიტის ანგარიში.

სახელმწიფო აუდიტის ანგარიშის თაობაზე ისაუბრა: **კახა მსხვილიძემ - მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი.**

აზრი გამოთქვეს: გიორგი კოტორეიშვილმა, სიმონ ჭოლოკავამ, თორნიკე გაჩეჩილაძემ. ნოდარ გიორგიძემ

საკრებულოს კომისიაზე განხილვის თაობაზე საკრებულოს სხდომას მოახსენა: თორნიკე გაჩეჩილაძემ- კომისიის თავმჯდომარემ
საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

მუნიციპალიტეტებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების საზედამხედველო საქმიანობის შესაბამისობის სახელმწიფო აუდიტის ანგარიში, მიღებული იქნეს ცნობად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 7. „ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერისთვის ა(ა)იპ „განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრის“ მიერ, იაპონიის საელჩოს ადამიანის უსაფრთხოების საგრანტო პროგრამის ფარგლებში წარდგენილი „ბაღდათის მუნიციპალიტეტში ინკლუზიური ცენტრის შექმნის“ პროექტის მხარდაჭერის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 30 დეკემბრის N42 85 (გ-67.67213641) განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

განკარგულების პროექტი ცვლილების შესახებ, საკრებულოს სხდომას გააცნო: **ქეთევან კარკაძემ - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.**
აზრი გამოთქვეს: ირინა ტყეშელაშვილმა, მაია კბილაშვილმა, გვანცა გრძელიძემ, გურამ კიკნაველიძემ, ნოდარ გიორგიძემ.
საკრებულოს შესაბამისი კომისიის დასკვნა განკარგულების პროექტზე წარმოადგინა: თორნიკე გაჩეჩილაძემ.
საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N21 განკარგულება:გ-67.67221191 თარიღი:29/04/2022 (განკარგულება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:
მომხრე- 23 წინააღმდეგი- 0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 23 საკრებულოს წევრმა

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა გამოცხადდა დახურულად.

სხდომის თავმჯდომარე: **ნოდარ გიორგიძე**